


გაგაგას



№5, 2015






ეკატერინე ხვედიანი 75 წლისაა

ბოცვის ბუჩქთან

– იცი? ტყეში... უღრან ტყეში,
დიდ, შრიალა ტყეში,
ნიავექარის, ნაკადულის
ლამას სიმღერებში,
სადაც ჩიტებს ზეიმი აქვთ,
ჭანჭანნი და ტაში
და ფერხულით გარს უვლიან
წიფლის ტოტებს, გაშლილს...
სად წითურა მელაკუდა
ზის ბომბორა კუდზე,
ხსნის ზღაპრებით სავსე გუდას
და ცის ნაჭერს უმზერს...
სად წკაპუნა რკოს კაცუნა
ნაბდის ქუდით დადის
თეთრ ღელეზე სათევზაოდ
თეთრი ვერცხლის ბადით,
იელის თუ მოცვის ბუჩქთან
ჭრელკაბიან გოგოს
ელოდება წითელქუდა,
კოჭდაბალი სოკო.



მხატვარი **თომა გლურჯიძე**


გამოცანა - ცანა-ცანა



გამოცანებს მოგასწავლებს
ჭკვიანებს და საზრიანებს,
ბიჭი ვინც ხარ,
გამოიცან,
შასუსს ნუ დაგვიანებ:

- მეფე ვაარ! - ის რომ ღრიალით
დაიქუხებს და დასძახებს,
გარს ეველა სულდგმულს კი არა,
ქვას და ხეს ააცანცანებს...

5



უბან-უბან დაქრის ცხენი -
უბელო და უაღვირო,
ვხედნი...
ამას ვინ გახედნის!
არ მჭირდება, უნაგირო!

ღღუ და ღამე ჭიანჭურით
დადის ჭკუამხიარული.

გათვლა

ენკი-ბენკი-სიკლისა -
ღღუ მოხტის კისკისა...
გაუჭიბრა ნიაფი
აბა, ვნახოთ: ვინ ვისა!
ენკი-ბენკი-სიკლისა -
გზა შორი და დიღია,
მიჭეუვებან ტუის ჰირსა,
სულ ხითხითით მიდიან.
თვალს აცუნებს შროშანი
და ეაუახოც, უირმიზა,
ჭურ ფინიში შორს არი,
მერე ვნახოთ: ვინ ვისა!



2

1

ა



3

სიზმრის ანგელოზი ხვრით



ლელა ცუცქირიძე

ანგელოზების საბავშვო ბაღში სიზმრის ანგელოზიც დადიოდა.

დიდი ძილისგულა ვინმე იყო. ხან ჭამის დროს ჩაეძინებოდა, ხან თამაშისას...

დახუჭავდა თუ არა თვალებს, მაშინვე ხვრინვას ამოუშვებდა: — ხვრით-ხვრით, ხვრით-ხვრით...

ამიტომ ყველა ხვრითს ეძახდა.

ერთხელ ხვრით ბებოს ჩანთაში ჩაძვრა. ბებოს ჩანთაში ყოველთვის ედო სანუწნი კანფეტები. ამოიღებდა ხოლმე, ააჭრაჭუნებდა ბრჭყვიალა ქალაღდს და კანფეტს გემრიელად ნუნნიდა. ჰოდა, ხვრით ამ კანფეტებისთვის ჩაძვრა ბებოს ჩანთაში, მაგრამ, სანამ კანფეტებს მოძებნიდა, მანამდე ჩაეძინა.

ბებომ აიღო ჩანთა და ოპერაში

წაკუნკულდა. აბა, რა იცოდა, ხვრითს თუ ჩანთაში ეძინა?!

მშობლებმა დიდხანს ეძებეს შვილი, ხან მაგიდის ქვეშ შეიხედეს, ხან სანოლის ქვეშ, ხან კარადაში, ხან სარეცხის მანქანაში, მაგრამ ხვრით ვერსად იპოვეს.

ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ შეეშინდებოდათ?!

მაშინვე პატრულს გამოუძახეს.

პატრულმაც დიდხანს ეძება ხვრით: ხან მეზობლებთან, ხან მაღაზიებში, ხან ქუჩაში, ხან პარკში, მაგრამ ამაოდ.

ახლა სახანძრო მანქანა გამოიძახეს. მოვიდნენ მეხანძრეები, გაშალეს კიბე და ყველა კორპუსის სახურავი დაათვალიერეს, მერე ღრუბლები და ვარსკვლავებიც კი გადაჩხრიკეს, მაგრამ არა, ბატონო, არსად იყო ხვრით! აბა, როგორ იქნებოდა, როცა ბებოს ჩანთაში ეძინა.



ბებო კი ოპერის დარბაზში იჯდა და, რადგან კარგად არ ესმოდა, ყურზე ხელმიდებული უსმენდა ოპერას — ერთი ცნობილი ბარიტონი ჩამოსულიყო გასტროლებზე.

მკაცრი ბარიტონი იყო, დარბაზში ოდნავ ხმაურსაც კი ვერ იტანდა.

ჰოდა,

— მიმიმი-ააააა! — არიის შესრულების დროს უცებ დარბაზიდან ხვრინვა შემოესმა.

მაშინვე გაჩუმდა და დარბაზს მიმართა:

— ძალიან გთხოვთ, გამორთეთ მობილური ტელეფონები! — ვერაფრით წარმოიდგენდა, მისი გამოსვლის დროს ვინმეს თუ ჩაეძინებოდა.

დარბაზში აჩოჩოლდნენ და გამორთული ტელეფონები ხელმეორედ გამორთეს.

ცნობილმა ბარიტონმა სიმღერა გააგრძელა:

— მიმიმი-ააააა!

— ხვრიი-ხვრიი, — მოესმა ისევ.

მარტო მკაცრი კი არა, ბარიტონი ბრაზიანიც იყო და, რა თქმა უნდა, ძალიან გაჯავრდა.

— ახლავე გამორთეთ-მეთქი ტელეფონები!

— ახტა და დახტა სცენაზე, ახტა და დახტა და... რადგან ცნობილი, მკაცრი და ბრაზიანი ბარიტონი ვეებერთელა იყო, ოპერის ხის იატაკმა მის სიმძიმეს ვედარ გაუძლო, ჩაინგრა და მომღერალი ბარიტონი დაბლა ჩავარდა.

— მიმიმი-ააააა! — თან ზევით იწევდა და თან მღეროდა ბარიტონი — მომღერალი იყო და, აბა, ხომ არ გაჩუმდებოდა?

ბებიას ეს ყველაფერი სპექტაკლი ეგონა, თვალეზე ხელი აიფარა — ეს რა საშინელე-ბააო — და გაბრაზებული გამოკუნკულდა გარეთ.

სახლში მისულმა დასაწყენარებლად კანფე-

ტის ჩანუნვნა გადანყვიტა, ჩანთა გახსნა და რას ხედავს? ჩანთაში მშვიდად ჩაძინებული ანგელოზი მთელი ხმით ხვრინავს:

— ხვრიი-ხვრიი, ხვრიი-ხვრიი...

მოკლედ, ძალიან ძილისგუდა ანგელოზი იყო. ანგელოზების ბაღშიც ხან სად ეძინებოდა ხვრიის, ხან სად; ხან საიდან ისმოდა მისი ხვრინვა, ხან საიდან.

ისე, ბავშვებთან მისვლა უყვარდა. ფრთებზე ჭრელაჭრულა და ლამაზი სიზმრები ჰქონდა ასხმული. რას არ ნახავდით ამ სიზმრებში: ნკმუტუნა ლეკვებს, კნავილა ფისოებს, როხროხა ბოკვერებს, ჭიკჭიკა ჩიტებს, ბუთქუნა პანდებს და დათვის ბელებს, კიკინა ბეკეკებს და თიკნებს... ეს კი არა, მხიარულ სპლიყვსაც ნახავდით და ბუტია ბეჰემოტსაც, ეგ იყო, ხანდახან სიმსუქნისგან სიზმარში ვერ ეტეოდნენ და სიზმრის კიდეზე კონწიალობდნენ, მაგრამ მაინც ნახავდით.


ჰოდა, რომელ ბავშვს არ ეყვარებოდა ასეთი სიზმრები?! გულის ფანცქალით ელოდებოდნენ ხოლმე ხვრიის გამოჩენას.


— ადექი, გაიღვიძე, ბავშვები გელოდებიან, — აღვიძებდა ხოლმე საღამო ხანს ძილისგუდა ხვრიის დედა.

— ჰა? ბავშვები? მელოდებიან? ჰო, მელოდებიან, ახლავე, ახლავე, — წამოხტებოდა ხვრიი და ფართხაფურთხით მიფრინავდა ბავშვებთან. უყვარდა, მათ რომ ახარებდა.

ერთხელ მთელი ღამე ბავშვთა თავშესაფარში გაატარა. იქ ობოლი ბავშვები ცხოვრობდნენ და ხვრიიმ მათ ყველაზე ლამაზი სიზმრები ამოურჩია.

მხატვარი ანა ხვიჩია





მზე და ღრუბელი

მზემ ღრუბელსა გაუღიმა,
 თვალს უკრავდა სიყვარულით,
 თურმე ღრუბელს შეუყვარდა,
 მიინევდა მისკენ გულით...
 მივიდა და მიეფარა,
 სახე თბილად უცინოდა,
 მზეს ღრუბელი შეუყვარდა,
 დედამინა დასცინოდა.
 ამოვარდა ქარიშხალი,
 დააშორა ერთმანეთსა.
 გაიბუტა ღრუბელი და
 ერთად უშვებს ბევრ ცრემლებსა.

*სალომე ხმალაძე
 106 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე*

კვლავს გვახსენებს

გიორგი ლეონიძეს

კაცი იყავი კაცური
 და გაგვოცე ყველანი,
 სურნელს აფრქვევდა იისა
 შენი ღვთიური მელანი.

სტრიქონებს დაქვრივებული
 დედის გამოჰყვა ალერსი,
 ქართული ზეცა ბრწყინავდა
 შენს ლურჯ, კამკამა თვალებში.

მონატრებიან შენი ხმა
 პატარძელის მთა-გორებს,
 აყვავებულან ნუშები,

იორი ზვირთებს აგორებს.
 გვედახი, კვლავაც გვამხნევენს
 ეგ შემართული მარჯვენა,
 ვერცხლის გეჭირა თასი და
 ლოცავდი ჩვილთა გაჩენას.

მამულის შემწედ შობილო,
 მუდამ ენთები ლამპარად,
 სულ გვეხსომები, შენს სახელს
 მტვერი ვერასდროს დაფარავს!

*ლადო ქურთუბაძე
 13 წლის*

გაზაფხული კულიგორასთან

3560 ჩხიკვაძე

აქეთ დამცნრალი დურუჯი,
იქით – ილიას ტბა.
ხიტები დაჟიჟიჟებენ –
და – გვი – თბა!

მორთავს მზის სამკაულები
მალლა წას, დაბლა მთას,
იები შემოგცინებენ –
და – გვი – თბა!

სისხამსე ნალის წკრიალით
ირგულიჟ სიმშვიდეს ჰფენს –
მმადნაფიცისკენ მსედარი
მიაფრენს ლურჯა ცხენს.

ულრანში, გაღვიძებული
როჭო დარეკავს ზარს.
ვასისთვის „აკაკო ეახალი“
ხორკნის წალდუნით სარს.

წანწკარებს თოვლის ნაჟური,
გულმა თავისი თქვა –
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
და – გვი – თბა!

მხატვარი გიორგი მაღრაძე

„ჩემი საქართველო“ – კონკურსი ბერლინში



„ახლახან ბერლინში საქართველოს საელჩომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ბატონ გელა დუმბაძეს და გერმანიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრა გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიაში, ბატონმა ლადო ჭანტურიაშვილმა. შეხვედრაზე ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ბავშვთა ორ ასაკობრივ ჯგუფს შორის ჩატარებული კონკურსი ხატვაში, დევიზით – „ჩემი საქართველო“.

ფრიად ამაღლებელი აღმოჩნდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვთა გონებით დანახული სამშობლო.

პირველ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა 8 წლის ლუის ჩედლერმა, ხოლო მეორეში 13 წლის მარია-ელენ ადებარმა.

გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. არც სხვა მონაწილეთათვის დაუკლიათ სიტბო და სიყვარული – ყველა მათგანი სამახსოვრო საჩუქრით წახალისეს.

ამ სასიხარულო ამბავმა იფრინა, იფრინა და თბილისში, ჟურნალ „დილაშიც“ შემოფრინდა.

ჟურნალი „დილა“ კი, თავის მხრივ, მზად არის, ყველას, ვინც კი შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული, გამოცემის ყოველ ნომერში დაუთმოს გვერდები. იმედია, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოზარდთა დაახლოებასა და დამეგობრებას.

რედაქცია უცხოეთში მცხოვრებ ყველა ქართველ ბავშვს წარმატებებსა და სამშობლოში მალე დაბრუნებას უსურვებს.

ამჯერად „დილა“ გთავაზობთ ბერლინის კონკურსზე გამარჯვებულ ბავშვთა ნამუშევრებსა და კონკურსის ამსახველ ფოტომასალას.




ყურის ახარო


ანნა კანდელაკი



შეგიმჩნევია, რომ
სათვალღდან კანფეტები
უფრო დიდი
ჩანს? რა კარგი იქნებოდა,
სათვალღდან ჭამა
რომ შეიძლებოდა!



დედა ამბობს, ყურის გახვრეტა
ჯერ ადრეაო,
ამიტომ პატარა დაიკოს
ალუბლის საყურეებს
ვუკეთებ.



ჩაის დაღვის დროს შაქარი
თუ დაგეყრება, შეგიძღია
მაგიღაზე ტკბიღი ნახატები
დახატო.

იცი, ციციღნათეღები
როგორ ანათებენ? თავზე
პატარა ნათურებს
იმაგრებენ, ოთახის ფანრებიღვით.



ჩვენი ეზო

კალღი

ძალღი ჩვენს სახლს დარაჯობს,
დარბის, დარბის, ყეფს,
ღამით — ჰამ-ჰამ! — იძახის,
ფხიზლად სძინავს ღღე.
აქვს თავისი ბუნაგი,
სულ არ არის მსუნაგი.



კატა

კატას უყვარს თბილი კერა,
თევზი, ყველი, რძე,
ყველგან დახტის და დაძვრება
სახლია თუ ხე.
დასდევს ჩიტებს, დასდევს თაგვებს,
სტუმრობს ეზოს, სხვენს,
ხან კნავის და ხან კრუტუნებს,
ეფიცება მზეს.




ძროხა

ძროხას რა აქვს? აბა, ვთქვათ:
— კუდი, ცური, ორი რქა!
— მუ, მუ რას ძოვს? — ბალახს.
გვაძლევს რძეს და კარაქს.
კიდევ? — ყველს და მანონს,
არაუანს და ხაჭოს.



თხა

მე-მე, მე-მე — კიკინებს
წვერცანცარა თხა.
აქვს რქები და ტკბილი რძე
და თიკანიც ჰყავს.




ცხვარი

ცხვარი ბლავის: ბე-ბე-ბე!
აქვს ფუმფულა მატყლი.
რძით და ყველით აავსო
ცხვარმა მწყემსის სახლი.



ცხენი

ცხენს აქვს კუდი, ფაფარი,
ტვირთს უზიდავს პატრონს.
ძოვს ბალახს და ჭიხვინებს
საჯინიბოს ახლოს.




ღორი

ღორი — ღრუტ-ღრუტ — ღრუტუნებს,
ჭამა უყვარს ძალიან.
ლაფში გორავს მსუქანა,
დიდია და მრგვალია.




ინდაური

გაიფხორა ინდაური,
მერე ფრთები გაშალა.
ყურლუმ-ყურლუმ — დაიძახა,
სხვას ჭამა არ აცალა.
რა აკენკა? — ფეტვი.
მეტს არაფერს გეტყვი.




ქათამი

კა-კა-კა-კა — კაკანებს
საქათმეში ქათამი,
კვერცხი დადო ბუდეში.
ესეც კარგი ამბავი!



იხვი

იხვს რა უყვარს? — წყალი,
ნელა ცურავს, ყვინთავს,
ვახ-ვახ, ვახ-ვახ, რა კარგია —
არ აჩერებს ნისკარტს.



ბატი

ბატი დადის ნელა,
ყი-ყი, ყი-ყი — ყიყინებს,
ბატის თეთრი ბუმბული
საბალიშედ იყიდეს.



მამალი

თავექორრა მამალს
აქვს წითელი ბიბილო,
საქათმეში პირველმა
მან უნდა დაიყივლოს:
ყი-ყლი-ყოოოოოოოოოო!



ჩაცოი დაბრუვდა თხუნელა



იყო დრო, როდესაც თხუნელას ორი ლამაზი თვალი ჰქონდა და გადასარევიად ხედავდა, თუმცა მაშინაც მიწის ქვეშ, სოროში ცხოვრობდა. თხრიდა და თხრიდა პატარა გვირაბებს, საჭმელად ხოჭოებსა და ჭიაყელებს მიირთმევდა და მეტად კმაყოფილი გახლდათ. პირს ჩაიტკბარუნებდა თუ არა, ერთს კარგად გაიზმორებოდა, გვერდულად მიწვებოდა და ეძინა, ვიდრე შიშხილი არ შეაწუსებდა. შემდეგ ახალ გვირაბს გათხრიდა, დაიჭერდა სხვადასხვა მწერს, გემრიელად ისადილებდა, დანაყრდებოდა და ისევ ძილს ეძლეოდა.

ერთხელ, როდესაც წამოწოლილი იყო და ისვენებდა, რაღაც ხრამხრუშის ხმები შემოესმა. იფიქრა აქვე დიდი ჭია იმალებაო, პატარა თათები ნიჩბებივით აამუშავა, მიწა გასწი-გამოსწია და დიდყურებიან, ფუმფულა ცხოველს მიადგა, რომელსაც წინა თათებში სტაფილო მოექცია და მადიანად ახრამუნებდა.

– შენ ვინ ხარ?

– ბაჭია ვარ, – მიუგო ყურცქვიტამ და სტაფილო ჩაბიჩა.

– ფუჰ, ამას როგორ ჭამ? – შეიცხადა თხუნელამ.

– როგორ და, გემრიელად ვახრამუნებ, ეს ჩემი ყველაზე სასუკვარი საჭმელია, – ხრამუნის არ შეუწყვეტია ბაჭიას.

– ფუჰ, – თხუნელამ თავი ზიზლით გააქნია, – ჩემი ყველაზე, ყველაზე გემრიელი საჭმელი ფუნავორია ხოჭოა, იცი, როგორ მიყვარს, შემიძლია უსასრულოდ ვჭამო, – ნერწყვმომდგარმა თხუნელამ ტუჩებზე ენა გაისვ-გამოისვა, – ეს რა პატარა სორო გქონია, აქ როგორ ეტევი?

– მე აქ მძინავს, თორემ ისე სულ მინდორში დაგკუნტრუშებ და მზეზე ვთბები.

– მზე რა არის? – გაიოცა თხუნელამ.

– მზე ძალიან დიდი, ძალიან თბილი ბურთია, რომელიც ცაზე ჰკიდია და თავისი ოქროსფერი სხივებით არემარეს ანათებს.

– იტყუები, მზე არ არსებობს, – ბაჭიასი არ დაიჯერა ცხვირწვეტამ.

– რას ამბობ? შენ რა, მინდორში არასოდეს ასულხარ, ლამაზი ყვავილებითა და გემრიელი სტაფილოებით მოკაზმული მდელო არ გინახავს და არც მზეზე გამთბარხარ?

მხატვარი გიორგი მაღრაქი



– ხომ ვითხარი, მზე არ არსებობს-მეთქი. მე ჩემს გათხრილ გვირაბებში დავძვრები, მწერებს ვიჭერ, პირს ვიგემრიელებ და ასე ვცხოვრობ, – ბუზლუნით უპასუხა თხუნელამ.

– თუ გინდა, წამომყევი, ჩემი სოროდან მინდორში ავძვრეთ და მზეს გაჩვენებ.

ბაჭიამ თხუნელა მზის არსებობაში ვერ დაარწმუნა, ბოლოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ყურცანცარა სოროდან ამოვიდა, თხუნელას თათიც კი მიაშველა, რათა მიწის ზედაპირზე აეყვანა.

– ზემოთ აიხედე, – ბაჭიამ ცისკენ ყურები აიშვირა.

თხუნელამ თავი აწია და მზეს შეაცქერდა. მხურვალე სხივებმა თვალი მოსჭრა და ბინდი გადაეკრა კიდეც – ორივე თვალზე თხელი კანი გადაეფარა.

– ბაჭია, ეს რა მომივიდა? – იკითხა შემინებულმა.


– მზე დაინახე?

– ხომ ვითხარი, მზე არ არსებობს-მეთქი ახლა კი საერთოდ ვერაფერს ვხედავ, – წაიწუწუნა ცხირწვეტამ.

– მზე თუ არ დაინახე, მდელოს სილამაზით თუ არ დატკბი, თვალები რად გინდა? – მიუგო გაოცებულმა ბაჭიამ და ლამაზ ყვავილებში სკუპ-სკუპით გაკუნტრუშდა.

თხუნელამ ერთი ამოიოხრა, ისევ მიწის-ქვეშეთს დაუბრუნდა, რათა ჭიალუა მოენახა და გაუმადარი მუცელი ამოევსო.

ის დღე იყო და ის – მიწაში მცხოვრები ცხვირწვეტა ცხოველები დარჩნენ ასე უსინათლოები, მაგრამ მათ თვალისჩინი არც არაფრად არგიათ, რადგან მზის არსებობა ვერაფრით ირწმუნეს.







ა



ამ ნახატებიდან რომელი
იწყება ასო "ა"-ზე



მხატვარი: ანნა კანდელაკი



მიიყვანე ზღარბი კალათამდე და
დაეხმარე ხილის შეგროვებაში.

მხატვარი: ანნა კანდელაკი

სადაცაა პაწაწები



ბეჭემოთის ჩივირი

ბეჭემოთი ჩიოდა:
 რად ხდებოდა ასე,
 ერთი ხალიც არ მაქვსო
 ამოდენა ტანზე.
 ჟირაფს ფრიად შვენისო
 კუბოკრული კაბა;
 უელს იღერებს ჰრანჭია
 და თვალებსაც ნაბავს;
 ჯიქი კოხლებს ატარებს,
 უეფარს თავის ქება;
 ზოლებიანს იცვამენ
 ვეფხვები და სებრა;
 ლომს ფაფარი ამშვენებს,
 უშიშარს და გულადს;
 რამდენიმე ფერი აქვთ
 აფთარსა და ტურანს;
 არას ვამბობ შვლებსა და
 ანტილოპა ვნუსე;
 ვდგავარ ასე წყალში და
 საათობით ვუმხერ
 სირაქლეძებს, ნიანგებს,
 ფოცხვერებს და ირმებს,
 ნეტა, ჭრული ჰერანგი
 მეც ჩამაცვას ვინმემ.



მხატვარი ანნა კანდელაკი

თავსაცუნი

თაგვებს 15 ვაშლი ჰქონდათ.
 ერთმა ხუთი ცალი შეჭამა, მეორემ
 — ექვსი. რამდენი ვაშლი დარჩათ
 თაგვებს?



მთვარის შოკოლადი



ჯერ არ იცნობთ
ალექსანდრეს?
თქვენი თანატოლია.
მის შესახებ,
შეიძლება,
არც კი გაგიგონიათ.

ექვსი წელი
ალექსანდრეს
შეუსრულდა ახლახან.
მომისმინეთ,
მოგიყვებით,
ერთხელ თავს რა გადახდა.

ალექსანდრე დიდი სახლის სუუულ ბოლო, მეთექვსმეტე სართულზე ცხოვრობს. ვინც მეთექვსმეტე სართულზეა, ფეხით ხომ არ აივლის ყოველდღე კიბის იმდენ საფეხურს (იციით, რამდენი საფეხურია მეთექვსმეტე სართულამდე? ზუსტად ორას ოთხმოცდაათოთხმეტი!)? ჰოდა, სწორედ ამიტომ არსებობს ლიფტი.

ლიფტი, ალბათ,
ყველამ იციით –
საოცარი ყუთია,
კედელზე რომ
წითელ-ყვითლად
ღილაკები უნთია,

თითს დააჭერ,
კარს დახურავს,
დაიძვრება მაშინვე.
სადაც გინდა,
იქ წაგიყვანს,
წურაფერი გაშინებს.

ღილაკებზე
ციფრებია
და სართულებს გაჩვენებს,
აირჩევ და
თვითონ იცის,
როდის უნდა გაჩერდეს.

იქვე ახლოს
მოციმციმე
ეკრანი ჩართული,
ზედ წერია
თუ რომელი
გაიარე სართული.



ლიფტით სხვა სართულების მცხოვრებნიც სარგებლობდნენ, რა თქმა უნდა. სიმართლე რომ ითქვას, ზოგიერთი ზარმაცი მესამე სართულზეც კი ლიფტით ასვლას ამჯობინებდა.

ალექსანდრეს კიბეზე ჩასვლა არ ეზარებოდა (ჩამოსვლა – მით უფრო, ქარივით ჩამოიქროლებდა ხოლმე საფეხურებზე), მაგრამ ლიფტით სეირნობას არაფერი ერჩია.



ზევით, ქვევით
ისე დაჰქერის,
თითქოს იყოს რაკეტა.
ალექსანდრეს
ალარც უნდა
გამოვიდეს აქედან.



ალექსანდრე ყოჩალი ბიჭი იყო, არაფერი ეზარებოდა, განსაკუთრებით კი ის უყვარდა, როდესაც დედა მალაზიაში ჩაგზავნიდა გემრიელი ნამცხვრის ან შოკოლადის ამოსატანად. ნამცხვარი და შოკოლადი ხომ კარგია, მაგრამ ალექსანდრეს ის უფრო უხაროდა, ლიფტით რომ უნდა გაესეირნა. შოკოლადი მარტო ალექსანდრეს კი არა, დედასაც ძალიან უყვარდა, ამიტომ ლიფტით სეირნობაც ხშირად უწევდა ბიჭს.

აი, კარი დაიხურა...
დავიძარიტ, წავედით...
პირველზე რომ ჩამოხვიდე,
დაგჭირდება ნამები.

მერე ისევ მეთექვსმეტი...
წამში მალლა აგიყვანს.
დავიჯერო, რომ შენ ასე სეირნობა არ გიყვარს?




ერთხელ, როდესაც დედამ ალექსანდრე შოკოლადის საყიდლად გაგზავნა მალაზიაში, ლიფტში შესვლისას უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში – რა იქნება, ერთდროულად რამდენიმე ლილაკს რომ დავაჭირო ხელით? ბევრი აღარ უფიქრია, ფეხის წვერებზე აინია (ზოგი ლილაკი საკმაოდ მალლა იყო) და ერთიანის ნაცვლად მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითები დააჭირა ლილაკებს, რომლებზეც თექვსმეტი და თხუთმეტი ანათებდა, ხოლო მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი კი ლილაკს, რომელსაც თოთხმეტი ეწერა.

კარი დაიხურა და ლიფტი დაიძრა.



ლიფტი მიდის, არ ჩერდება და ეკრანიც ანათებს. რა რიცხვები იწერება? ამატებს და ამატებს.



ლიფტი დიდხანს მიდიოდა და, როგორც იქნა, გაჩერდა. ეკრანზე, რომელიც სართულებს აჩვენებდა, ძალიან გრძელი რიცხვი ეწერა – 161514. ალექსანდრემ ამდენი თვლა არ იცოდა, ამიტომ ვერ მიხვდა, რომელ სართულზე იყო. მაგრამ ის კი გაიფიქრა, რომ მათ სახლს ამდენი სართული არ ჰქონდა. მაშ, სად იყო?

კარის ღრიჭოში თითები შეაცურა და მთელი ძალით დაეჯავჯავრა. კარი ძნელად, მაგრამ მაინც გაიღო. ალექსანდრემ თავი გაჰყო გარეთ და...



გაიხედა –
ეს რა ხდება?
სიზმარია? ცხადია?
ეს ნამდვილი მთვარეა თუ
საღებავით ხატია?

ალექსანდრე კარგად დააკვირდა და მიხვდა, რომ ნახატი კი არა, ნამდვილი მთვარე იყო. უსწორმასწორო ზედაპირი უცნაურ, მოთეთრო-მოყვითალო სინათლეს ასხივებდა. რამდენჯერ უყურებია ღია ფანჯრიდან სავსე მთვარისთვის და... რას იფიქრებდა, ასე ახლოს თუ ნახავდა?

ფეხი გადადგა და უცნაური სირბილე იგრძნო. რაღაც სასიამოვნო სურნელიც შეისუნთქა. ჩაიმუხლა, მთვარის ზედაპირს ხელი დაადო და... არა, არა, ეს დაუჯერებელია! ალექსანდრემ პატარა ნატეხი მოგლიჯა – ნამდვილად ასეა, მთვარე უგემრიელესი, თეთრი შოკოლადის იყო. აქა-იქ, ზედაპირზე უსწორმასწოროდ რომ მოჩანდა, თხილის დიდრონი ნატეხები გახლდათ.



მართალია,
 ალექსანდრე
 უკვე დიდი ბიჭია,
 მაგრამ მთვარის
 შოკოლადი
 ჯერ არ გაუსინჯია.

საუცხოო
 გემო აქვს და
 თხილით უკეთესია.
 ქვეყნად ყველა
 შოკოლადზე
 უგემრიელესია.

ალექსანდრე მთვარის შოკოლადს მიირთმევდა და სიხარულისგან მეცხრე ცაზე კი არა, უფრო მაღლა, მთვარეზე იყო. ალბათ, არავინ დაუჯერებს! უცებ გაახსენდა, რომ დედამ სწორედ შოკოლადის საყიდლად გაგზავნა. ამაზე გემრიელი შოკოლადი კი, აბა, სად უნდა ნახოს?! ბევრი აღარ უფიქრია – მთვარის შოკოლადს იმდენი მოატეხა, რასაც ხელში დაიკავებდა. ბევრს ხომ ვერ წაიღებდა? ეგეც არ იყოს, დედამინიდან რამდენი ბავშვიც ამოვა, ყველამ თუ ბევრი წაიღო, მთვარე აღარც დარჩება და მერე ღამით ცაზე რამ უნდა ანათოს?

უგემრიელესი, მთვარის თეთრი შოკოლადით ხელში ალექსანდრე ლიფტში დაბრუნდა.



ბევრი აღარ
 უფიქრია,
 ანდა ფიქრი რად უნდა –
 ლილაკს აჭერს
 მეთექვსმეტეს,
 ლიფტი უკან გაბრუნდა.

ალექსანდრე
 მოციმციმე
 რიცხვებს ველარ ითვლიდა...
 ჰა, თექვსმეტიც...
 გაჩერდა და
 გამოვიდა ლიფტიდან.



დედამ ჰკითხა, რატომ დაიგვიანეო, ალექსანდრემ კი პასუხად მთვარის თეთრი შოკოლადის ნატეხი გაუწოდა. დედამ გასინჯა და თქვა – ამისთანა გემრიელი შოკოლადი დედამინის ზურგზე თუ არსებობდა, არც კი ვიცოდითო. ალექსანდრეს გაელიმა – დედამინის ზურგზე ხომ მართლაც არ არსებობს ასეთი შოკოლადი. ჰოდა, ასეც უთხრა – მთვარიდან ჩამოგიტანეო. დედას გაელიმა, თავი გადააქნია და მხოლოდ ეს უთხრა: შენს ფანტაზიას საზღვარი არა აქვსო. უკვე გვიან იყო და ალექსანდრე დასაძინებლად თავის ოთახში წავიდა. ლოგინში რომ ჩანვა, ფანჯარაში უზარმაზარ, მოკაშკაშე მთვარეს მოჰქრა თვალი. მთვარე თითქოს უღიმოდა გაბადრული სახით. ალექსანდრემაც გაუღიმა მთვარეს და ტკბილად დაიძინა – დედამინის ზურგზე ხომ მხოლოდ მან იცოდა, რომ მთვარე უგემრიელესი, თეთრი შოკოლადისა იყო.

მხატვარი **ლიკა გურგენიშვილი**



თავსაცუნეზი


მხატვარი ანნა კანდელაკი




აბა, თუ იცი, ვინ რას ჭამს?



რამდენი ქოლგაა ნახატზე?



დაითვალე, რამდენი პინგვინი ცეკვავს მენყვილის გარეშე.



რომელი თვითმფრინავი ჩავარდება კალათში?



გვარდის გვერდი

აღზრდის ციხეცურა მეთოდები

აღზრდის ციხეცური მეთოდით დუშვებელი ბავშვის რაიმე სახით დამცირება და ფიზიკური დასჯა. ციხეცელი ბერების აზრით, ბავშვს მხოლოდ იმიტომ ცემენ, რომ მას უფროსისთვის ხელის შებრუნება არ შეუძლია. ბავშვთა აღზრდის ციხეცური მეთოდი იყოფა რამდენიმე პერიოდად.

პირველი პერიოდი მოიცავს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა აღზრდას. მთავარი პრინციპი ამ პერიოდისა:

მოექცევი ბავშვს ისე, როგორც მეფეს. არაფერი აუკრძალო, არაკეთილგონივრული საქციელიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინე. თუ ისეთ რამეს აკეთებს, რაც შესაძლოა მისთვის საზიანო იყოს, შეშინებული სახე მიიღე. ეს შიში ხმითაც გამოხატე – ჟესტიკულაციის ენა ბავშვს მშვენივრად ესმის.

ამ ასაკში ყალიბდება ცნობისმოყვარეობა და ცხოვრებისადმი ინტერესი, თუმცა პატარას მოვლენებს შორის ლოგიკური ჯაჭვის გაბმა ჯერ არ შეუძლია. ვთქვათ, ძვირფასი ლარნაკი გატეხა. მას არ ესმის, რომ ამ ლარნაკის საყიდლად ბევრი ფულია საჭირო. თუ დასჯით, ამას იგი ძალადობად აღიქვამს. მართალია, ამით შეიგნებს, რომ ლარნაკი აღარ უნდა გატეხოს, სამაგიეროდ, გაუჩნდება ძლიერისადმი მორჩილების გრძნობა.

მეორე პერიოდი: 5-დან 10 წლამდე

ამ ასაკის ბავშვს ისე უნდა მოექცე, როგორც მონას. დაუსახე ამოცანები და მოსთხოვე მათი შესრულება. შეუსრულებლობისთვის დასაჯე, ოღონდ – არა ფიზიკურად. ეს პერიოდი ინტელექტის განვითარების დროა. ბავშვი თანდათან აცნობიერებს, რა რეაქცია ექნებათ მის ამა თუ იმ საქციელზე; უნდა ეცადოს, მოწონება დაიმსახუროს. მაქსიმალურად დატვირთეთ სწავლით.

მესამე პერიოდი: 10-დან 15 წლამდე

მოექცევი ბავშვს ისე, როგორც თანატოლს. უფრო სწორად, ვითომ თანატოლს, რადგან თქვენ მაინც მეტი გამოცდილება გაქვთ. განიხილეთ მასთან ყველა მნიშვნელოვანი საკითხი; ხელი შეუწყვეთ, რომ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს. თქვენს აზრს თავს ნუ მოახვევთ, სათქმელი, „ხავერდის ხელთათმანებით“ მიანოდეთ, ქვეტექსტებით აუხსენით, რჩევის სახით გადაეცით თქვენი მოსაზრებები. თუ არასწორ გზას დაადგა, ყურადღება მისი შედეგების უარყოფით მხარეზე გაუმახვილეთ. პირდაპირ არაფერი აუკრძალოთ. ზუსტად ამ ასაკში ყალიბდება დამოუკიდებლობა და თვითმყოფადი აზროვნება.

ბოლო პერიოდი: 15 წლის ზევით

პატივისცემით მოექცევი. მისი აღზრდა უკვე დაგვიანებულია და ისლა დაგრჩენიათ, თქვენი დათესილი მოიმკათ.


რა მოხდება, თუ ამ წესებს არ დავიცავთ?

- 5 წლის ბავშვს ზედმეტად მკაცრად თუ მოექცევი, მასში აქტიურობას, ინტელექტსა და ცხოვრებისადმი ინტერესს ჩაკლავთ. ბავშვი უხეში ძალის მორჩილებას მიეჩვევა და ნებისმიერი არამზადისთვის ადვილი დასაჩაგრე გახდება.
- თუ 5 წლის ზევით ბავშვის განებივრებას წესად აქცევთ, ბავშვი დამოუკიდებლობას ვერ იგრძნობს და უძლური აღმოჩნდება სიძნელეების წინაშე. თუ 10 წლის შემდეგაც ასე გააგრძელებთ, მერყევ, თავდაუჯერებელ ადამიანს მიიღებთ, რომელიც მასზე უფრო დამოუკიდებელი მეგობრების გავლენის ქვეშ მოექცევა. ეს გავლენა კი ყოველთვის სასიკეთო როდი იქნება.
- თუ შვილს 15 წლის შემდეგ პატივისცემით არ მოექცევი, ამას არ გაპატიებთ და პირველივე შესაძლებლობას გამოიყენებს, რომ სახლიდან სამუდამოდ წავიდეს.

გასართობები




დაითვალე ცხოველები ასეთი ხერხით:
პირველი ძროხა, პირველი კატა, პირველი გოჭი,
მეორე კატა და ა.შ.



რომელი ხილი აკლია მესამე მწკრივში?



რომელია ზედმეტი?



გამოიცანი, რომელი სად
ცხოვრობს?



ნინა ფთიჯალი
(გერმანია)



ანდრია შავლაძე, 4 წლის
თომა შავლაძე, 7 წლის



გიორგი ღვალისვილი
10 წლის



სალომე კვიციანი, 5 წლის
რეზიკო კობიაშვილი, 5 წლის



საბა ჯავახიშვილი
1 წლის

ნომერი მთლიანად გაფორმებულია
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის, წიგნის დიზაინისა და
ილუსტრაციის სახელოსნოს სტუდენტთა მიერ.
ხელმძღვანელი: სოფიო კინწურაშვილი

მთავარი რედაქტორი: **დოდო ნივნივაძე**
ნახატი ყდაზე: იულია ნიკოგოსოვაძე
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

